

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N3

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

19 თებერვალი 2021 წელი
15: 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის აპარატის უფროსი - კობა მაღლაკელიძე

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი - ვანდა გიორგაძე;

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: ვანდა გიორგაძე

3.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

4.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალი ფრაქციის „ქართული ოცნება - ვანის განვითარებისათვის“ სადამფუძნებლო დოკუმენტების გაცნობისა და შესაბამისი დასკვნის მომზადების შესახებ;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

5.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელი: კობა მაღლაკელიძე

6.მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

7.სხვადასხვა

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ .

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქ. ვანის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნეს:

ა) შესაბამისი დასახლების მაკრომდებარეობის ინდექსი - Img ;

ბ) ლოკალური ტერიტორიული ინდექსი - Iπ;

გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1კვმ-ზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი - C;

დ) მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი - K;

დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 1კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი განისაზღვროს :

ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე - 8,88 ლარი;

ბ) ვანის მუნ. სოფლების ტერიტორიაზე - 4 ლარი

გ) ვანის მუნ. ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მ-ის რადიუსში - 6,00 ლარი;

დ) დასახლებათა შორის არეალში - 3,00 ლარი;

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N2/

გადაწყვეტის: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის N2685 განკარგულებით ვანის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 208 187 ლარი.

- ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 749327 ლარს;
- ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია-441279 ლარს;

- ქ. ვანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია 321536 ლარი.

სულ ამ პროექტების ღირებულება 1 512 142 ლარი. 2021 წლის 4 იანვარს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები:

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N3/

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოსმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ფრაქციის წევრებმა გელა ღვიტიძემ, სანდრო ხურციძემ და თამარ შენგელიამ დატოვეს „საქართველოს მწვანეთა პარტიის“ რიგები.

გამომდინარე იქედან, რომ ფრაქციის დანარჩენი წევრები არიან უპარტიოები ფრაქციის შემადგენლობაში აღარ რჩება. ფრაქცია „ქართული ოცნება -მწვანეები“ ითვლება თვითლიკვიდირებულად.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N4/

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალი ფრაქციის „ქართული ოცნება - ვანის განვითარებისათვის“ სადამფუძნებლო დოკუმენტების გაცნობისა და შესაბამისი დასკვნის მომზადების შესახებ;

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოგიდგინო ახალი ფრაქციის „ქართული ოცნება - ვანის განვითარებისათვის“ დაფუძნების შესახებ დასკვნას, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ფრაქცია იქმნება შემდეგი შემადგენლობით:

1. გელა ღვიტიძე-ფრაქციის თავმჯდომარე.
2. თამარ შენგელია- ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.
3. სანდრო ხურციძე-ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.
4. ტარიელ ბარამიძე-წევრი.
5. გიგა გოგიბერიძე-წევრი.
6. შალვა ლორთქიფანიძე-წევრი.
7. ამირან ტალახაძე- წევრი.
8. პაატა ხურციძე- წევრი.
9. ბიჭიკო პაიკიძე-წევრი.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N5/

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კობა მაღლაკელიძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2020 წლის პერიოდში საკრებულოს აპარატში არსებული მდგომარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა მოკლედ განმარტა, რომ საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 19 თანამშრომელი.

მ/შ: ქალი - 13 კაცი - 6

საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხა ასეთია:

პირველი რანგის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი- 1

მეორე რანგის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განყოფილების უფროსი- 2

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი, განყოფილების უფროსის მოადგილე - 4

მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 6

სამტატო ერთეულით დასაქმებულია 13, მ/შ: ქალი-10, კაცი-3.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია - 6 მ/შ: ქალი - 3 კაცი - 3

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხის მიმართ ვრცლად ვისაუბრებ საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N6/

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე;

მომხსენებელმა განმარტა, რომ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესთან დაკავშირებით მოვიდა შენიშვნა აუდიტის სამსახურიდან. უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაამუშავებს წარმოდგენილ საკითხს და წარმოგიდგენთ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი საკითხი დამუშავდეს და შესწორება შევიდეს შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ.

მოსმინეს:

სხვადასხვაში კომისიის წევრმა შალვა ლორთქიფანიძემ წარმოთქვა თავისი მოსაზრება. მან აღნიშნა, რომ კომისიისა და საკრებულოს წევრები, რომლებიც არ ეწრებიან საკრებულოსა და კომისიის სხდომებს, დაექვეთოს კუთვნილი ხარჯების ანაზღაურებიდან გარკვეული თანხა.

მომხსენებლის მიერ წარმოთქმულ აზრს დაეთანხმნენ სხვა კომისიის წევრები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე